

მსოფლიო ბანკის საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდოს მეხუთე ცერემონიაზე წლებანდელი გამარჯვებულები გამოვლინდნენ

თბილისი, 15 დეკემბერი, 2023 – დღეს საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდოს - BARTA-ს გადაცემის მეხუთე, საიუბილეო ცერემონია გაიმართა, რომელზეც ის კომპანიები გამოვლინდნენ, რომლებიც ანგარიშგების და გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკას მისდევენ. ღონისძიება, რომელიც მსოფლიო ბანკთან, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან და ბუღალტრული რეფორმის ბენეფიციართა ფონდთან პარტნიორობით ჩატარდა, მიზნად ისახავდა კანონშესაბამისობის ხელშეწყობას ანგარიშგების ახალ წესებთან, ჯანსაღი კონკურენციის გაძლიერებას კომპანიებს შორის და კორპორაციული ანგარიშგების საერთო სტანდარტის ამაღლებას. 2019 წელს ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების ერთობლივი პროექტის მიერ დაარსებული BARTA საერთო ძალისხმევის ნაწილია ქართულ კომპანიებში კორპორაციული ანგარიშგების ხარისხისა და გამჭვირვალობის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის.

„BARTA მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც ხაზს უსვამს საქართველოს სწრაფვას ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისკენ,“ - განაცხადა მსოფლიო ბანკის თანასწორი ეკონომიკური ზრდის, ფინანსების და ინსტიტუტების პროგრამის ხელმძღვანელმა მიგელ სანჩესმა. მისივე თქმით: „კონკურენცია გადამწყვეტ როლს თამაშობს კორპორაციული ანგარიშგების საერთო სტანდარტის ამაღლებაში. ჩვენ ვამაყობთ, რომ ამ ერთობლივი პროექტის ნაწილი ვართ და მოუთმენლად ველით მის უწყვეტ წარმატებას მომდევნო წლებში.“

საერთაშორისო ჟიურიმ BARTA 2023-ის ცერემონიაზე გამარჯვებული კომპანიები ცხრა ნომინაციაში გამოავლინა. შერჩევის პროცესი მტკიცე მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩატარდა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად ხაზი გაუსვა არაფინანსური ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობას ისეთი არამატერიალური აქტივების შესახებ, როგორებიცაა ბრენდი, რეპუტაცია მომხმარებელთა შორის, „ნოუ-ჰაუ“ და გუდვილი. ეს ინიციატივა წახალისებს კომპანიებს, დააკმაყოფილონ კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნები, რითაც გაუმჯობესდება ანგარიშგების რეგულაციებთან შესაბამისობა და კორპორაციული ანგარიშგების საერთო ხარისხი.

წელს გამოცხადებულ 9 კატეგორიაში გამარჯვებულები გახდნენ:

- გამარჯვებული - მსხვილი ფინანსური კომპანია (500 ან მეტი დასაქმებული) – სს „თიბისი ბანკი“
- საპატიო ჯილდო - მსხვილი ფინანსური კომპანიისთვის – სს მსო „კრისტალი“
- გამარჯვებული - მსხვილი არაფინანსური კომპანია – სს "სილქნეტი"
- საპატიო ჯილდო - მსხვილი არაფინანსური კომპანიისთვის – სს „საქართველოს რკინიგზა“
- გამარჯვებული - მცირე და საშუალო კომპანია (500-ზე ნაკლები დასაქმებული) – სს „თიბისი ლიზინგი“
- საპატიო ჯილდო - მცირე და საშუალო კომპანიისთვის – სს მსო „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
- გამარჯვებული - მდგრადი განვითარების საუკეთესო ანგარიში – სს „საქართველოს ბანკი“
- საპატიო ჯილდო - მდგრადი განვითარების ანგარიშისთვის – სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტი“
- ხუთი წლის საიუბილეო ჯილდო ყველაზე მეტად გაუმჯობესებული ანგარიშისთვის – შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“

წელს პირველად BARTA-ში მონაწილეობა შეეძლო პირველი კატეგორიის ყველა საწარმოს და ჯგუფს იმ კომპანიებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ საჯარო დაინტერესების პირებს (სდპ), A და B სალისტინგო კატეგორიების ყველა კომპანიის ჩათვლით.

მომდევნო წლებში BARTA-ს დაჯილდოების სქემა კიდევ უფრო განვითარდება, და შერჩევისა და შეფასების პროცესი ასევე ადაპტირებული იქნება იმგვარად, რომ ასახოს სიახლეები მარეგულირებელ გარემოსა და ინდუსტრიაში, როგორცაა, მაგალითად, მდგრადი განვითარების სავალდებულო ანგარიშგების დანერგვა დიდი ევროპული კომპანიებისთვის. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ BARTA-ს ინიციატივა აქტუალურობას შეინარჩუნებს და ანგარიშგების განვითარებადი ლანდშაფტის ნაწილი ხდება.

BARTA-ს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიჰყევით ბმულს: <https://en.barta.ge/>

დამატებითი ინფორმაციისთვის საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ მიჰყევით ბმულს: <https://www.facebook.com/WorldBankGeorgia>

საკონტაქტო პირები:

თბილისში: ირმა გეგეჭკორი, igegechkori@worldbank.org

ვაშინგტონში: ემი სტილველი, astilwell@worldbankgroup.org